

# „ჩირაღდანის“ ზუგდიდის კერძო სკოლა–გიმნაზიის სტრატეგიული განვითარების გეგმა

## განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები

### I. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო -სააღმზრდელო პროცესებისა და სამუშაო გარემოს ორგანიზება

#### სკოლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა

##### ❖ სკოლის წესდება

- სკოლის წესდების შემუშავება (სრულყოფა);
- სკოლის შინაგანაწესის შემუშავება (სრულყოფა);
- სკოლის ცნობარის შემუშავება.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ დატვირთვას აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში; განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებს და გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას: წრეების, სექციებისა სახით. მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებებს; სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებას.

##### ❖ სკოლის ბიუჯეტი

ბიუჯეტი – ფინანსური გეგმა, მიმართული დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

სკოლის საჭიროებების მიხედვით, სავარაუდო შემოსავლებისა და გასავლების გათვალისწინებით სკოლის ბიუჯეტის შემუშავება.

### მოსწავლეებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემა

##### ❖ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა და მისი ფუნქციონირების ხარისხის შეფასება

სკოლის სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის საფუძველზე თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, მიზნების, მიდრეკილებების გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის ხუთი ძირითადი სიახლე, კერძოდ:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი.

- ✓ გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები;
- ✓ სწავლა ნიშნავს არა ინფორმაციის შექმნას, არამედ ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას;
- ✓ სწავლაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზის გავლა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება. სკოლას აქვს მეტი უფლებები, შესთავაზოს განსხვავებული გზები საკუთარ მოსწავლეებს;
- ✓ მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. მნიშვნელოვანია არა მარტო რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია ამ ცოდნის მოხმარება.

### ❖ სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირები:

- ✓ ორიენტაცია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში აღწერილ იდეალებზე;
- ✓ ორიენტაცია შედეგზე და შედეგების დემონსტრირებაზე;
- ✓ ორიენტაცია სასწავლო პროცესის ერთიანობაზე;
- ✓ ორიენტაცია თითოეულ მოსწავლეზე;
- ✓ ორიენტაცია მასწავლებლების პროფესიონალიზმზე;
- ✓ ორიენტაცია რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე;
- ✓ ორიენტაცია სწავლების მეთოდოლოგიის მრავალფეროვნებაზე.

### ❖ სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.

- მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური საგნობრივი პროგრამების შემუშავება;

აღნიშნული პროგრამები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პედაგოგის კვალიფიკაციის შესახებ, პედაგოგის მუშაობის სტრატეგიას:

- რა უნდა ასწავლოს;
- რა მეთოდებს იყენებს;
- რა შედეგებს უნდა მიაღწიოს კონკრეტულ კლასში;
- შეფასების რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს;
- რა არის მინიმალური ბარიერი, რომლის დაძლევაც მოეთხოვება მოსწავლეს;
- მოეთხოვება თუ არა მოსწავლეს გარკვეული ნაშრომის, პროექტის წარმოდგენა.
- შეფასების საკუთარი ფორმების შემუშავება;

სასურველია შემუშავებულ იქნას განმავითარებელი შეფასების აღრიცხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მობილიზებას და აამაღლებს სწავლების ხარისხს; ცოდნის კონტროლის

ფორმების ოპტიმიზაცია, გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს შორის ნდობის განმტკიცებას.

### ❖ საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია;

ახალი ტიპის გაკვეთილების დამკვიდრება, კერძოდ: ინტეგრირებული, გაკვეთილი-პრეზენტაცა, გაკვეთილები ახლი ტექნოლოგიების გამოყენებით. დისტანციური სწავლების მეთოდის დანერგვა.

### ❖ კათედრების ფუნქციების გაძლიერება

სკოლის საგნობრივი კათედრა და, კერძოდ, მისი ხელმძღვანელი უნდა იყოს პასუხისმგებელი კონკრეტული საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

- ✓ კათედრები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები:
- ✓ სასკოლო გეგმისა შემუშავებაში;
- ✓ ინდივიდუალური საგნობრივი გეგმების შემუშავებაში;
- ✓ სასწავლო სახელმძღვანელოების ნუსხის შემუშავებაში;
- ✓ მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში;
- ✓ მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაში
- ✓ კათედრები და კათედრის ხელმძღვანელები უნდა ზრუნავდნენ პროფესიული განვითარების გზების დასახვაზე, ინფორმაციის დროულად და სწორად გადაცემაზე, პედაგოგთა ურთიერთანამშრომლობაზე, გუნდური მუშაობის პრინციპის დამკვიდრებაზე, საგნების ინტეგრირებაზე, სხვადასხვა პროექტებში, ოლიმპიადებში, პროგრამებში, კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობაზე.
- ✓ მნიშვნელოვანია კათედრების ფუნქცია სკოლის ბიუჯეტის შედგენისა და მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის დროს.
- ✓

### ❖ მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა

შესწავლილი უნდა იქნას მოსწავლეთა მიღწევები კლას-ებში, (ჩატარდეს პერიოდული მონიტორინგი) ყველა საგანში, დადგინდეს, ხომ არ არის რომელიმე საგანში ჩავარდნა, რათა დროულად მოხდეს მდგომარეობის გამოსწორება.

### ❖ შიდა სასკოლო, რესპუბლიკური და საერთაშორისო პროექტების დანერგვა და მართვა.

შიდა სასკოლო პროექტები შემუშავდება კათედრების მიერ, ეს პროექტები იქნება როგორც საგნობრივი, ჯგუფური ასევე ინტეგრირებული. ასეთი სახის მუშაობა იწვევს მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას, მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს შორის ურთიერთთანამშრომლობას.

სკოლა აქტიურად ჩაერთვება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში;

### ➤ სადამრიგებლო პროგრამა

სკოლისათვის აუცილებელია სადამრიგებლო პროგრამის შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება მშობელთა მიღების საათები, დამრიგებლის მუშაობის მიმართულებები და შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა.

### ➤ კლუბური და წრეობრივი მუშაობის დანერგვა და მართვა

ჩამოყალიბდება ესთეტიკური აღზრდის კლუბი - სადაც ბავშვები დასაქმდებიან სხვადასხვა მიმართულებით, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- ✓ სასკოლო სახელოსნო;
- ✓ ჩამოყალიბდება ლიტერატურულ-სადისკუსიო სალონი.

კლუბის მუშაობა წარიმართება სხვადასხვა მიმართულებით. ლიტერატურული სადამოების გამართვა, საინტერესო ფილმების ნახვა და განხილვა, ცნობილი ადამიანების სტუმრად მოწვევა, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვებისა და სადამოების მოწყობა.

### ➤ მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირება

ხარისხზე ორიენტირებული სკოლის მნიშვნელოვანი რგოლია დირექცია. დირექციის მუშაობაზე დიდწილადაა დამოკიდებული სკოლის წარმატებები და წარუმატებლობა. დირექციის მუშაობაში მთავარია გუნდურობის პრინციპი, პასუხისმგებლობების, უფლება-მოვალეობების სწორი გადანაწილება. დირექციის წარმომადგენლები უნდა გამოირჩეოდნენ პროფესიონალიზმით, კომუნიკაციისა, საქმის ორგანიზების უნარით, უნდა გააჩნდეთ სკოლის განვითარების ხედვა, უნდა იყვნენ ინიციატივიანები, ჰქონდეთ ლიდერის თვისებები. სკოლის მართვის საქმეში სრულფასოვნად უნდა იყვნენ ჩართული კათედრები.

### ❖ უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა

#### ➤ სკოლის ტერიტორიის დაცვა

სკოლის ტერიტორიაზე შესვლა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ერთი კარიდან. სასურველია დამონტაჟდეს ვიდეო-კამერები. სკოლაში იმუშავენ მკაცრი აღრიცხვის ფორმები მოსწავლეთა მოძრაობასთან დაკავშირებით.

### ➤ უსაფრთხო გარემოს შექმნა

საევაკუაციო გეგმის განთავსება ყველა სართულზე, სახანძრო სტენდის მოწყობა და მოსწავლეთა ვარჯიში ევაკუაციის პერიოდში ქცევის წესებთან დაკავშირებით.

### ❖ მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების ორგანიზება

სკოლის მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც კლასის დამრიგებლის მიერ გაფრთხილებული იქნება, როგორც მშობელი, აგრეთვე, დირექციის წარმომადგენელი .

მოსწავლეები სკოლას დატოვებენ დღის კალენდრით გათვალისწინებული აქტივობების ამოწურვის შემდეგ.

### ❖ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება

#### ➤ სკოლაში სპორტული სექციების გახსნა

მოსწავლეთა ინტერესის მიხედვით ჩამოყალიბდება სხვადასხვა სპორტული სექციები.

### ❖ სკოლაში არსებული ადამიანური, პროფესიული და ტექნიკური რესურსების შესაბამისობაში მოყვანა სკოლის მიზნების მისაღწევად

#### ➤ სკოლის აკრედიტაცია

იმისათვის, რომ სკოლამ აკრედიტაცია გაიაროს, უნდა აკმაყოფილებდეს სააკრედიტაციო ნორმებს, მაგალითად:

სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაცია უნდა პასუხობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სკოლის შენობა და მატერიალურ – ტექნიკური ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს განათლების კანონით და ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ ნორმატივებს.

#### ➤ სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება

სკოლის განვითარების გეგმა რომ საუკეთესოდ სრულდებოდეს, აუცილებელია სკოლაში არსებობდეს თვითშეფასებისა და მონიტორინგის სისტემა, რომელშიც უნდა აისახოს შემდეგი საკითხები:

- ✓ სკოლის ზოგადი მახასიათებლები;
- ✓ მოსწავლეთა, მათი ოჯახების და სხვა დაინტერესებული პირების შეხედულებები;

## ❖ სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება

### ➤ მოტივაციის გაზრდა ფინანსური და წახალისების სხვადასხვა ფორმებით კონკურსები:

- ✓ „წლის საუკეთესო მოსწავლე“
- ✓ „წლის საუკეთესო მასწავლებელი“

კონკურსებისათვის „წლის საუკეთესო მოსწავლე“ და „წლის საუკეთესო მასწავლებელი“ - სასწავლო წლის დასაწყისში კრიტერიუმები შემუშავდება კათედრებზე. კონკურსებისათვის „წლის საუკეთესო კლასი“, „წლის საუკეთესო დამრიგებელი“, „წლის საუკეთესო კათედრის ხელმძღვანელი“, სასწავლო წლის დასაწყისში კრიტერიუმები შემუშავდება პედაგოგიურ საბჭოს მიერ. კონკურსისათვის „წლის საუკეთესო მშობელი“ სასწავლო წლის დასაწყისში კრიტერიუმები შემუშავდება დირექციის მიერ. წახალისების ფონდი შეთანხმდება დამფუძნებელთან. წლის ბოლოს, შემუშავებული კრიტერიუმებით კათედრების, პედაგოგიური საბჭოსა და ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი პირები დაჯილდოვდებიან სადღესასწაულო ვითარებაში.

## ❖ მშობელთა ჩართულობა, მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გააქტიურება

### ➤ ორმხრივი კომუნიკაცია სკოლასა და ოჯახს შორის.

მშობელი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს სკოლის ცხოვრებაში. როდესაც მშობელი ჩართულია ბავშვის განათლების პროცესში, მოსწავლეს უფრო მეტი მიღწევები აქვს.

## ❖ II - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

➤ **სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება**

➤ **სკოლაში კათედრების მიხედვით კაბინეტების მოწყობა**

სკოლას უნდა ჰქონდეს ტექნიკურად კარგად აღჭურვილი კლას-კაბინეტები. ამ პროცესისათვის დამფუძნებლის მიერ მოძიებული სახსრების გარდა, აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ პროექტებში გამარჯვება, არასამთავრობო სექტორებსა და ფონდებში პროექტების წარდგენა.

➤ **ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა**

აუცილებელია სკოლის ბიბლიოთეკის შევსება ახალი საინტერესო ლიტერატურით, ინვენტარით. მუდმივად უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები, რათა ბიბლიოთეკა გადაიქცეს მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად.

➤ **სამედიცინო კაბინეტის კეთილმოწყობა**

სკოლისათვის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს კარგად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. მოძიებულ იქნება დონორი ორგანიზაცია, რომელიც ნაწილობრივ დააფინანსებს მასწავლებლების უფასო მომსახურებასა და დაეხმარება მათ მედიკამენტებით.

➤ **კვების პუნქტი**

მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესებში შედის კვების პუნქტის მოწყობა სანიტარულ-ჰიგიენური და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვით, სადაც შემოთავაზებული იქნება ახალი, სასარგებლო კვების პროდუქტი.

➤ **სპორტდარბაზის კეთილმოწყობა და შევსება ინვენტარით.**

❖ **III - მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება**

➤ **ტრენინგები და სემინარები**

პედაგოგებისათვის განკუთვნილი პროფესიული განვითარების პროგრამები მიზნად უნდა ისახავდეს პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან:

- ✓ საგნის ცოდნა;
- ✓ შეფასების სტრატეგიები;
- ✓ მეთოდები და სასწავლო გეგმა;
- ✓ განათლების სიტემის ეროვნული პრიორიტეტები;
- ✓ განათლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;

მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭიროა სკოლის თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რესურს ცენტრებთან, უნივერსიტეტთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც გვთავაზობენ კვალიფიციურ დახმარებას – ტრენინგებისა და სემინარების სახით.

### ➤ პედაგოგების ურთიერთანამშრომლობა

სკოლის პედაგოგებს შორის მეგობრული ურთიერთობა, სკოლის შიგნით მასწავლებლების მიერ ტრენინგებისა და სემინარების მოწყობა, გაკვეთილებზე საქმიანი და თანამშრომლობითი დასწრება.

### ➤ შემოსავლების და ხარჯების სრული გამჭვირვალობა

სკოლაში ყველა ფინანსური ოპერაცია ჩატარდება ბანკის საშუალებით.

თანამშრომლებს ხელფასები დაერიცხებათ ელექტრონულ ბარათებზე.

## ❖ V - სკოლის კომპიუტერიზაცია

### ➤ სკოლის საკანცელარიო საქმის კომპიუტერიზაცია

- ✓ სკოლაში ერთიანი ქსელის შექმნა;
- ✓ სკოლის მონაცემთა ბაზის და პირადი საქმეების ელექტრონულ ფორმატში ორგანიზება;
- ✓ ყველა მოსწავლისთვის ინდივიდუალური კომპიუტერის შეძენა.